ოთხშაბათი, 1917 წ. ნოემბრისთვის 29 (12 № 263
წელიწადი მესამე

ოთხშაბათი, 1917 წ. ნოემბრისთვის 29 (12) № 263
ფასი 15 კაპ.

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერი მოკლედ უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქოოპერატივი. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ნოემბრისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ცნობები:

დროებით ხაზზე მოლაპარაკება ერთის კვირით შესწყდა.—კორნილოვი თავის ჯარით კალედინს შეუერთდა.—ბოლშევიკების ჯარსა და კორნილოვის ეშელონებს ქალაქ ბელგოროდთან დიდი შეტაკება მოუხდათ.—ბოლშევიკები დამფუძნებელ კრებიდან ბურჟუაზიის წარმომადგენელთა განდევნას აპირებენ.—ნიკოლოზის დასაცავად ტობოლსკში წითელ-გვარდიელები გაგზავნეს.—მოსკოვში, ამ უკანასკნელ 27 დღის განმავლობაში, 1½ მილიონ-ნახევარი ზარალია ძარცვა-გლეჯის გამო.—უკრაინამ მთავრობის შედგენის შესახებ სახალხო კომისრების საბჭოს ნოტა წარუდგინა.—უკრაინელებს საეკლესიო კრების მოწვევა და პატრიარქის არჩევა განუზრახავთ.—ტფილისში თერგისა და ყუბანის მთავრობის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ აქაურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

წერილები:

მეთაური. რუსეთის დამფუძნებელ კრების ბედი.

ირაკლი ამირაჯიბი. ერობა და გადამიჯვნის საკითხი.

გრიგოლ რობაქიძე. ბესიკი.

ფელიეტონი. მე-4 ნუმერი (პატარა ფელეტონი).

ივ. აფხაზი. ღია წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

კორესპონდენცია. რაჭიდან, ბორჩალოდან.

ბლეხკაპის კატეხიზმო.

ტფილისის ქალაქის საბჭოს ანგარიში.

მწუხარებით გულმოკლულნი ქეთევან ზურაბის ასული და სოფიო ალექსანდრეს ასული ანდრონიკაშვილისა და მოკრძალებანი შვილები ზურაბი, ქეთო და ბაბალე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს პირველის საყვარელ შვილის, მეძრის ქმრის და უკანასკნელთა მამის

დიმიტრი (ტიტო) ზურაბის ძე
ანდრონიკაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რაც მოხდა ნოემბრისთვის 26-ს საღამოს ექვსის ნახევარზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე (ყაზბეგის ქუჩა № 18) ცხედრის გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიაში—ხუთშაბათს ნოემბრისთვის 30-ს დილის 9 საათზე დაკრძალვა მოხდება კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე.
1—893—1

მანანა ზურაბის ასული გოდერძიშვილი, ნადეჟდა ზურაბის ასული ტატიშვილი და დარია ზურაბის ასული მაგრატიონ-დავითაშვილისა შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ პირველთა ძვირფას ძმის და უკანასკნელთა ბიძის

დიმიტრი (ტიტო) ზურაბის ძე
ანდრონიკაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე (ყაზბეგის ქ. № 18), ცხედრის გამოსვენება ნოემბრისთვის 30, დილის 9 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. 1—894—1

ხუთშაბათს, 30 ამა ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია თბილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების

საგანგებო კრების

გაგრძელება.

განსახილველია საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა. კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.
1—896—1

კნ. მართა ქვასხვაძის ასული, ვერა და ოლღა ალექსანდრეს ასულნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ დაკარგვას ძვირფას სიძის

დიმიტრი (ტიტო) ზურაბის ძის
ანდრონიკაშვილის

რომელსაც გამოასვენებენ 9 საათზე 30 ნოემბრისთვის, საკუთარი სახლიდან ყაზბეგის ქუჩა № 18. ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში.
1—895—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის
პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იოსების ძე გედევანიშვილთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ლერმონტოვის ქუჩა № 5, სახლი კლდიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მუხრან ბატონის ბინაზე (ნიკოლოზ ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხალფაშის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის მუშაკთან კალატოზიშვილთან.

ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობის
ქართულ სკოლაში

გაიხსნა მასწავლებლის ადგილი.

ჯამაგირია 2,000 მან. უბინოთ. თხოვნა გამოიგზავნება გამგეობის თავმჯდომარის გ. ელიავას სახელობაზე.
4—880—4

ექიმი
ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და ვაშმანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე, საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმა
მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღის ქუჩა, № 22.
25—823—27

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ყორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
თ—879—4

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
ფურნისის ქუჩა № 41
ტელეფონის № 14—09

ექიმი
გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა, ტელეფონი № 5—77.
თ—25

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 18.

ხუთშაბათს 30 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამატიულ წრისას მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ხგ. ყიფიანისა

ხულიგნები

დრამა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ტ., ქილარჯიშვილი მ., ქიქოძე ან., ივერიელი ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., იმედაშვილი ა., მატარაძე გ., ჟღენტი ს., შალიკაშვილი გ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

რეჟ. გ. შალიკაშვილი.

შემდეგი წარმოდგენა 4 ქრისტეშობისთვეს.
3—846—2

თბილისი, ნოემბრისთვის 29.

რუსეთის დამფუძნებელი კრების ბედი

16 ნოემბრის თბილისით რუსეთის დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია და ბრძანება დამფუძნებელ კრების მოწვევაზე. ფკვე ერთი თვე სრულდება, რაც დროებითი მთავრობა გადააყენა სახალხო კომისარიატმა, ამ ხანში ზოგი მინისტრები პეტროპავლის ციხეში სხედან, და პრემიერი დღესაც არ იციან სად იმალება, ძალიან მოულოდნელი იყო ეს უკანასკნელი აქტი გადაყენებული მთავრობის, მაგრამ ის მაჩვენებელია იმ აზრისა, რომელსაც დღეს განიცდის რუსეთი. ამ დეკლარაციის უფრო ახალი სახალხო საკომისაროს საქმის გატეხვა და ბოლშევიკების ძალძლევა ახალ იათებს ვინემ რაიმე სახელმწიფოებრივი შინაარსი. ეს მოწოდება გამოქვეყნდა მალულად და როცა ბოლშევიკებმა მოინდომეს პასუხის გაცემა რეპრესიებით, ის მინისტრები, რომელნიც ბრძანებას ხელს აწერდენ ფკვე პეტროგრადში აღარ იყვნენ და სხვა და სხვა მიმართულებით გაპარულიყვნენ სხვა ადგილას. ამ დეკლარაციით დროებითი მთავრობა აცხადებდა, რომ დამფუძნებელი კრების გახსნა უთუოდ 28 ნოემბერს მოხდებოდა, როგორც ეს იყო ნაჩვენები იმ ბრძანებაში, რომელიც საფუძვლად დაედო დამფუძნებელ კრების არჩევნებს და არას გზით მისი გადადება არ შეიძლებაო. მაგრამ უეჭველია, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნების წინ ისეთი ამბები მოხდა, რომ არჩევნები ვერ მიდიოდენ ნორმალურად, 28 ნოემბრისთვის კრების გახსნა შეუძლებელი გახდა.

ძნელია მიხვედრა, რითი ხელმძღვანელობდა დროებითი მთავრობა, როცა ამისთანა ბრძანებას სცემდა ანდა რა შედეგი უნდა მოელოდა იმ ბრძანებას, რომლის გამომცემელნიც მეორე დღეს ქალაქიდან გაიპარენ. მხოლოდ ამან ხელი გაუხსნა ბოლშევიკების მთავრობას და მათაც სასტიკი ტერორის ქვეშ დააყენეს დამფუძნებელი კრების არჩევნები და მისი ბედის გადაწყვეტა დღეს ბოლშევიკების სურვილზეა დამოკიდებული. 28 ნოემბერი მეორეხარისხოვანი დანიშნული ყავლი იყო დამფუძნებელი კრების გახსნის, დღეს არავინ იცის როდემდის გადადებენ ბოლშევიკები კრების მოწვევის დროს, ყოველ შემთხვევაში მანამდის უმთავრესი საკითხები გადაწყვეტილნი იქნებიან დეკრეტებით და დამფუძნებელ კრებას თუ იგი როდისმე შედგა მოუხდება მხოლოდ ამათი დამტკიცება.

მით უფრო ფაქიზებული ჩვენი სასაქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევა მორიგ საქმედ დავისახოთ.

ერობა და გადამიჯვნის საკითხი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გადმობეჭდილი იყო გაზ. „კავკაზსკოე სლოვო“-დან წერილი გ. ხატისოვისა შესახებ იმ კომისიისა, რომელიც შესდგებოდა ხუთ-ხუთი წარმომადგენლისაგან—ქართველებისა, თათრებისა და სომხებისა და თითო რუს წარმომადგენლისაგან ესმდებისა და ესერებისაგან. ხსენებულ კომისიას უნდა გაერკვია საკითხი საერობო სიმაჯრეებით გადამიჯვნის შესახებ ამიერ-კავკასიაში, რათა ზოგიერთი ამგვარი ერობის შემოღებამდე გადამიჯვნა უნდა მომხდარიყო წინასწარ. უკანასკნელ დღეებში ხელმოსხენებულმა კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომ ერობა შემოღებულ იქმნას არასადავო ოლქებსა და მაზრებში, ხოლო სადავო მაზრებში არ იყოს ამ ჟამად ერობა შემოღებული, არამედ ერთი თვის შემდეგ რომელ შეაგროვებენ მასალებს სადავო ოლქების შესახებ და გადაწყვიტავენ ამ საკითხისა მიუნდობს არა კომისიას, არამედ ეროვნულ საბჭოებს, რომელნიც შეთანხმებით გაათავებენ საქმეს.

ასეთი გადაწყვეტილება კომისიისა არ მოსწონებია ერთ ჯგუფს და გ. ხატისოვიც თავის სიმართლეს ასაბუთებს შემდეგით: კომისიაში ქართველებს ნაციონალ-დემოკრატი გრ. ვეშაპელი კი არ უნდა გამოეგზავნათ, არამედ უნდა სოც.-დემოკრატები გამოეგზავნათ, რათა მათ შუამავლის როლი ეთამაშნათ.

უნდა მოვახსენოთ ბ-ნ გ. ხატისოვს, რომ გრ. ვეშაპელის რეზოლუცია, რომელიც კომისიაში იყო წამოყენებული და მიღებული, შეუფარდა ქართულ ეროვნულ ყრილობის საეროში სექციაში, ყრილობამ იგი დაამტკიცა და ქართველ წარმომადგენლებს, ნაც.-დემ. იქნებოდა იგი თუ სოც.-დემ., უნდა დაეცვა ასეთი შეხედულება.

შევეხოთ ეხლა საკითხის სხვა მხარეს. გადამიჯვნის სადავო საკითხებში ქართველებიც უნდა იყვნენ, მათთვისაც არის საცილობელო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების საკითხი. მაგრამ ქალის ხმა სომხის ერთ ჯგუფსაც აქვს. დღეს ასეთი საკითხები ჯგუფებმა კი არ უნდა გადასწყვიტონ, არამედ მთელმა ხალხმა და ბორჩალოელთა და ახალქალაქელთა აზრიც მხედველობაში უნდა იყვეს მიღებული. რევოლიუციამდე ამ საკითხზედ დაობდნენ სომხების მხრივ დაშნაკცებელი და ქართველების მხრივ ნაციონალ-დემოკრატები: ორივე ეროვნული პარტიები. მხოლოდ რევოლიუციის დროს დაშნაკცაკანს ხატისოვს ისე ჰგონია, რომ სომხების მხრივ ისევ დაშნაკელებია დაიჩივიან, მხოლოდ ქართველების მხრიდან მოპირდაპირე კი აღარ ეყოლებათ ამ საკითხში, არამედ შუამავლები. მაგრამ ჩვენ გვიკვირს რადგან არის შუა-კაცი საჭირო თუ მოპირდაპირე არ ეყოლებათ? და თუ მაინც

არ დაუშლიათ დაშნაკელებს და ქართველობას სთხოვენ სოც.-დემოკრატები გამოგზავნეთო, მაშინ თითონაც უნდა სოფლები სოც.-დემოკრატები გამოეგზავნეთ და უფლება ექნებოდათ ნაც.-დემოკრ. ჩამოშორებისა. გვგონია ესერებიც დაუჭერდნენ ასეთ გარემოებაში მხარს და აღარც ესერებს დაემდურებოდნენ.

თუ წინად პირობები ხელს არ გვიწყობდა რომ ასეთ საკითხებზედ გამოეთქვა აზრი ორივე ერის მთელ შემადგენლობას ანუ დემოკრატიას და ასეთ „საკითხებში საპასუხოდ გამოდიოდენ ეროვნული ჯგუფები, ეხლა ხომ ზემოხსენებული დაბრკოლებანი აღარ არიან? რათ გვინდა ან ჩვენ, ან დაშნაკელებს რომ გზა აუხვიოთ დემოკრატიას. ჩვენ თუ ჯგუფურად გამოვდიოდით, პირობები იყო თქო ისეთი, მოგახსენეთ; და გ. ხატისოვის ამხანაგი იაგჯიანი (დაშნაკელი) დღესაც აცხადებს, რომ ხსენებულ მოსაზრებას მცხოვრებლები, ანუ დემოკრატია, შეუგნებლები არიან, არ ესმით თავიანთი ინტერესი და უნდა უაპეკუნოთო. ასეთი აზრი არ შეშვენის დემოკრატს, არამც თუ „სოციალისტს“ დაშნაკცაკანს. სწორედ ეს შენიშნეს ესერებმა და როგორც სოციალისტებმა არ დაუჭირეს მხარი გ. ხატისოვს. ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ ქართულიც, სომხურიც და თათრული ეროვნული საბჭოები დემოკრატიულნი არიან და როგორც უხუცესნი მოვლენანი ერების ცხოვრებაში, მათი საქმეა გადაჭრა ყოველ სადავო საკითხისა, რომელიც კი აღიძვრება ერთა შორის.

ვისაც ძალიან შესტკივა გული დემოკრატიაზედ და მისთვის ზრუნავს „თავ წაკვეთილი“ იმან უნდა ისიც იცოდეს რომ დემოკრატიის უფლების ახრა მის კუთვნილ საქმეში ობსკურანტობაა. ყველა ზემოხსენებული ჩვენთვის ცხად ჰყოფს, რომ ოპეკუნებს დემოკრატია კი არ საჭიროებს, არამედ მისი სახელით მოლაპარაკე უპასუხისმგებლო წარმომადგენლები ბ-ნი იაგჯიანი და ბ-ნი გ. ხატისოვი ეს თავისებური „სოციალისტები“?!

ირაკლი ამირეჯიბი.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

დახურულ გაზეთების განახლება.

ბოლშევიკების მიერ დახურული გაზეთები გიორგობისთვის 21-დან კვლავ გამოვიდნენ. ზოგიერთს მათგანს ისევ ძველი სახელი აქვს, ზოგი კი სხვა სახელით გამოვიდა. გაზ. „რეჩს“ დაერქვა—„ვეკ“-ი, „დენ“-ს—„დრუგ ნაროდა“, „ბირჟევია ვედომოსტს“—„ვედომოსტი“, „ტრუდოვოე სლოვო“-ს—„ნაროდნოე სლოვო“, „ვოლია ნაროდა“ და „ედინსტვო“ ისევ ძველ სახელებით გამოვიდნენ.

კერენსკის წერილი.

პეტროგრადში კერენსკისაგან მიუღიათ წერილი. იგი უარჰყოფს იმ ხმებს ვითომც მას თანამდებობა მოეხსნას და მთავრობის შემადგენლობიდან გასულიყვეს. კერენსკი აცხადებს, რომ იგი ისევ პრემიერია.

გაზეთის დახურვა.

სახალხო კომისრების საბჭომ დახურა გაზეთი „ვეკი“, რომელიც გიორგობისთვის 23-ს განცხადებებით გამოვიდა. იგი „რეჩის“ მაგიერ გამოდიოდა.

ფინლანდიის საქმეთა მინისტრის გადადგომა.

ფინლანდიის საქმეთა მინისტრი ენკელი გადადგა, რადგან რუსეთში არსებულ მთავრობასთან მუშაობა ვერ შესძლო.

მიხეილ ალექსანდრეს ძის განცხადება.

დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრეს ძეს განუცხადებია, რომ მას ავადმყოფობა და აგრეთვე სხვა და სხვა მიზეზები აძლევენ, ტახტზე უარი განაცხადოს.

გენ. შჩერბაჩოვი და კრილენკო

გენ. შჩერბაჩევმა თავისი თავი რუმინეთის ფრონტის მთავარსარდლად გამოაცხადა. მისი ლაშქარი კრილენკოს მთავარსარდლად არა სცნობს. გენ. შჩერბაჩევი უკრაინის რადასთან თანხმობით მოქმედობს.

მოსკოვში

რკინის გზის კავშირი.

ხმებია, ბოლშევიკებს სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირის დათხოვნა განუზრახავთო. კავშირის წევრები დაჭერას ელიან. კავშირს გადაუწყვეტია, გამოაცხადოს სრულიად რუსეთის რკინის გზის გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ მას დაითხოვენ. გაიფიცებიან აგრეთვე საზოგადოებრივი და სამთავრობო დაწესებულება და ბანკები.

პროვინციაში

ბრძოლა კორნილოვის ეშელონებთან.

ხარკოვიდან იტყობინებიან: გიორგობისთვის 25-ს ბელგოროდთან ბოლშევიკებს კორნილოვის ეშელონებთან დიდი შეტაკება მოუხდათო. მრავალია დაჭრილ-დახოცილი. ბელგოროდის სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის ცნობით, ბოლშევიკებმა დამკვრელი ბატალიონების პირველი ეშელონი დაამარცხეს, მაგრამ მათ ხუთი ეშელონი შეეშველა და სასტიკად შეუტიეს ბოლშევიკებს. რითი დათავდა მეორე ბრძოლა, არავინ იცის. კრილენკო ბელგოროდში ჩავიდა. ხარკოვში ჩამოვიდა დამკვრელ ბატალიონის ერთი ჯარისკაცი, რომელმაც განაცხადა, რომ კორნილოვი ეშელონებთან არ არისო. დამკვრელი ბატალიონები კავკასიაში მიდიან. ეს დუხონინის უკანასკნელი სურვილია. გომელში ეშელონებს სროლა აუტეხეს.

კორნილოვი და კალედინი

სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირმა ცნობა მიიღო კორნილოვი კალედინს შეუერთდაო. კორნილოვი ნოვოჩერკასკში უბრალო ჯარისკაცის სამოსში გამოწყობილი ჩასულა. მთელი გზა მას უდოკუმენტოდ გაუვლია. უმგზავრია მე-2-ე კლასის ვაგონით. კორნილოვის ეშელონები, რომელშიაც შედიან ტეკინელები, დამკვრელები და ოფიცრები სულ 10 ათას კაცამდე რკინის გზით დონისკენ მიემგზავრებიან.

ნიკოლოზის დასაცავად

ტობოლსკში ნამეფარის დასაცავად გაიგზავნა წითელგვარდიელების და მეზღვაურთა რამდენიმე რაზმი.

ებრაელების დარბევა

გალიჩში (კოსტრომის გუბ.) დიდი დარბევა მოხდა. დარბევამ იუდოფობური ხასიათი მიიღო. ებრაელებს სცემდნენ და თან ეუბნებოდნენ: „აი ეს თქვენ ტროცკისა და ნახამკესის მაგიეროო“. არის რამდენიმე მოკლულიც. დარბევის დროს ებრაელების დუქნებს ცეცხლი გაუჩნდა, ქალაქის ნაწილი გადიწვა. ქალაქი თეთრ გვარდიამ დაამშვიდა.

დამფუძნებელ კრების გარშემო

ბურჟუაზიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ

ვაჭრობის სამინისტროს კომისარმა ლარინმა წინადადება შეიტანა საბჭოში, რომლითაც იგი მოითხოვს კადეტების და საერთოდ ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრებიდან განდევნოს. ლარინი საბჭოს საყოველთაო აგიტაციის გაწევას ურჩევს. ლარინის აზრით უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერა, რომ დამფუძნებელ კრებიდან კადეტების განდევნა ხალხის ნების ყოფას ხატავდეს.

კრების გადადება

სახალხო კომისრების საბჭოს განუზრახავს ისარგებლოს იმით, რომ გიორგობისთვის 28 სათვის პეტროგრადში დამფუძნებელ კრების ყველა წევრები ვერ გამოცხადდებიან და კრება ან იანვრის 15-დე ან და მარტამდე გადასდოს.

კომისიის წევრთა დაკითხვა

დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიის წევრებს ჩვენება ჩამოართვეს ცნობილ ბოლშევიკ ვექილებმა კრასიკოვმა და კოზლოვსკიმ. კომისიის წევრებმა განუცხადეს, რომ ისინი სახალხო კომისრებს არ სცნობდნენ.

მოსკოვის არჩევნები

დამფუძნებელ კრებაში კადეტებმა გაიყვანეს: კოკოშკინი, მაკლაკოვი, ასტროვი და ნოვგოროდცევი; ბოლშევიკებმა: ლენინი, სკვორცოვი, ბუხარინი, იგნატოვი და კუგელმანი; სოციალისტ რევოლუციონერებმა რუდნევი.

ეროვნული საკითხი

ყირიმის გამოყოფა

ოდესიდან იუწყებიან: რუმინეთის და შავი ზღვის საოლქო დეპუტატთა საბჭოს განუცხადეს, რომ ყირიმელი თათრები რუსეთიდან ყირიმის გამოსაყოფად აგიტაციას ეწევიანო. მათ კავშირი ჰქონიათ ოსმალებთან, ხელთ ჩაუვარდნიათ მიწერ-მოწერა ყირიმის ოსმალეთთან შეერთების შესახებ.

უკრაინა და რუსეთი

საეკლესიო ყრილობა

საეკლესიო ყრილობის უკრაინელ წევრებმა აღძრეს საკითხი, რომლითაც სურთ, რომ უკრაინული ეკლესია საკუთარი მართველობის ქვეშ იყვეს. აპირობენ უკრაინულ საეკლესიო ყრილობის მოწვევას და თავიანთ პატრიარქის არჩევას.

სეკრეტარიატის ნოტა კომისართა საბჭოსადმი

მთავარ სეკრეტარიატმა საოლქო მმართველობათ და პეტროგრადის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა ნოტა, რომლითაც უცხადებთ, რომ იგი საჭიროდ სცნობს შეუდგნენ რუსეთის ცენტრალ მთავრობის შედგენას საერთო დემოკრატიულ ზავის ჩამოგდების და დამფუძნებელ კრების დროზე მოწვევის ნიადაგზე. სეკრეტარიატი სთხოვს პეტროგრადს ფულის გამოგზავნა როგორმე მოაწყო, თორემ მაქარსა და სურსათს უკრაინის საზღვრებს აღარ გამოვაცილებთ.

უკანასკნელი დეპეშები

სეპარატიულ ზავისათვის გერმანელებმა მოითხოვეს რუსეთის ფლოტი ფინის ყურის აღმოსავლეთ ნაწილისკენ წაიღოს და ბოტნისის ყური გაგვიხსნასო.

—

„ტემნაია ნოჩ“-ი (გაზ. „დენ“-ის მაგიერი) იუწყება, გერმანელებმა მოითხოვეს პეტროგრადი დაგვითმეთ და დამფუძნებელ კრებასაც ჩვენ მოვიწვევთ და მასთან საზავო მოლაპარაკებასაც გავმართავთო.

—

პეტროგრადში დატიშულთა ეშელონი ჩამოვიდა, ბოლშევიკებს განზრახული აქვთ თუ დამფუძნებელ კრებასთან კონფლიქტი მოუხდებათ—ხსენებულ ეშელონებით ისარგებლონ.

—

პეტროგრადში ამ ჟამად იმყოფება ცნობილი ლიუციუსი. იგი ცნობილია თავის მოლაპარაკებათ პროტოპოპოვთან.

—

გამოირკვა, რომ საზამთრო შენობა კვესგოლმელებმა ააოხრეს. მათ უარი განაცხადეს საყარაულოში გამოცვლაზე. მათ აღთქმული ჰქონდათ თითო ბოთლი ღვინო და როდესაც მარანში ჩაუშვეს მათ მიჰყვეს ხელი ხმას და სასახლეც ააოხრეს.

ზავის გარშემო

ზავი გერმანეთთან

მოლაპარაკების შეწყვეტა

დროებით ზავზე მოლაპარაკება ერთი კვირით შეწყდა. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო მოქმედება არ იქნება. გერმანეთი კატეგორიულად მოითხოვს ორივე ხრივე ჯარის გადაყვან-გადმოყვანის თავისუფლებას. მან დაირჩინა უფლება შესწყვიტოს მოლაპარაკება თუ გამოირკვა, რომ სახალხო კომისრების საბჭო ერის ნების ყოფას არ გამოხატავს.

პარლამენტერები მაკენზენთან

მოგილევიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალმა მაკენზენსა და ერცჰერცოგ იოსებს პარლამენტერები გაუგზავნა. მთავარსარდალი იუწყება დროებით ზავი სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა ფაქტიურად განახორციელაო.

მოლაპარაკების შეწყვეტის მიზეზები

ბრესტლიტოვსკიდან სმოლნში ცნობა მიუღიათ: დელეგაციის წინადადება: მოლაპარაკების გაგრძელება პსკოვში გადაიტანონო—გერმანელებს არ შეუწყნარებიათ. ტროცკიმ ტელეგრაფით სთხოვა კიულმანსა და ჩერნინს დახმარება აღმოუჩინეთ მოლაპარაკების საქმეშიო. სმოლნში ეხლა მეტად დაღონებულნი არიან. ამბობენ გერმანელებმა ისეთი პირობები წამოაყენეს, რომ ბოლშევიკები იძულებულნი იყვნენ გერმანელებისათვის ისეთი მიუღებელი მოთხოვნილება წაეყენებინათ, როგორიცაა მოონზუნდის გაწმენდა. ეს კი იმიტომ, რომ მოლაპარაკება შეეწყვეტათ.

ზავი ავსტრია-უნგრეთთან

დროებითი ზავის ხელშეკრულება

იასსა. გიორგობისთვის 27. შჩერბაჩევი იტყობინება: გიორგობისთვის 26-ს 23 საათზე და 30 წუთზე იფოკშანში ხელს მოვაწერეთ დროებით ზავის ხელშეკრულებას, რომლის პირობებსაც შემდეგ შეგატყობინებთ. ვბრძანებ, რომ მთელს ფრონტზე, დნესტრიდან მოყოლებული დუნაის შესართავამდე, შესწყდეს ყოველგვარი სამხედრო მოქმედება.

ზავი ოსმალეთთან

ოსმალების მოლოცვა

ერზინჯანის რადიო-ტელეგრაფის სადგურმა მიიღო შემდეგი რადიოტელეგრამა: მთელ დასავლეთ ფრონტზე დღეს დროებითი ზავი ჩამოვარდა. სამხედრო მოქმედება შესწყდა. მოგილოცავთ.

ბესიკი

ბესიკი ჩემი თემა არ არის. იგი ეკუთვნის სრულად ტიტე ტაბიძეს: გაკვრით—ესთეტიურ ნაკვეთებში, ინტიმურად—კერძო ბარათებში. ბესიკი უყვარს მას და მისი ლექსის შესახებ წიგნსაც ამზადებს. მე არ მიყვარს იგი, თუმცა ვაფასებ მეტად. ბესიკი აღმოსავლეთის შვილია პირშო:—მაგრამ აღმოსავლეთის მე პრიმიტივი მონუმენტალობა უფრო მაჯადოებს ვიდრე ჩუქურთმული ქსოვილი: ეგვიპტეს პირამიდები ვიდრე სპარსეთის ხალიჩები. თავის თავად ცხადია, ზედმოჭრილს სიტყვას ბესიკს ვერ ვეტყვი,—ამისთვის სიყვარულია საჭირო, და მრწამს, ტიტე ტაბიძე შესძლებს ამას. მე ვეტყვი მას მხოლოდ ესთეტიური შეფასების სიტყვას.

ბესიკმა იცის მუსიკალი ნაკადი ლექსის რიტმში. მანვე იცის პლასტიური ჰედი მგოსნური ხატის. მე უკანასკნელი უფრო მაინტერესებს. „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჰირებსა“,—ამბობს ბესიკი ერთს შაირში. სიყვარულით გარინდება რუსთაველმა დააკანონა პოეტური ხელმწიფებით. ბესიკს აქ ერთი რამ შეაქვს ახალი: „ჩაველ ჰირებსა“. თავის თავად არც „ჰირვეულობაა“ ახალი, მაგრამ ბესიკი მას პლასტიურად შლის: „ჩაველ ჰირებსა“:—თითქო უკანასკნელნი ხელსახებნი იყვნენ. იმავე შაირში: „ეტლ შვენიერად მოარული გამსგავსე მთვარეს“. მთვარეს დამსგავსება ძველია,—ხოლო ბესიკი აქ ერთს ხერხს მიმართავს: დასამზგავსებელი ჯერ „ეტლ-შვენიერად მოარულის“ სახით ხატავს და ამ სახით ამსგავსებს მთვარეს:—ასეთი დამზგავსება კი უაღრესად პლასტიური დინამიურობით გამოდის. გარდა ამისა: შედარება თავისთავად ძლიერი არ არის: თუ სატრფო და მთვარე შედარებით ერთ-სხეულ იქცენ, მაშინ პოეტური ხაზი უფრო მახვილოვანი იქნება. ბესიკიც ასე იქცევა: „შენის ეშხითა მასა შევსტრფი, ღამე ველი გარეს“,—უმატებს იგი და ამით მნიშვნელოვან ესთეტიურ ეფექტს აღწევს.

„ბულბულის შურსა“: ლექსი. აქ ერთი ვულგარი თქმაა: „ყელი გამომჭერ“. მაგრამ ეს ვულგარობა სრულად იცვლება, როცა შემდეგი სიტყვა ემატება: „პირი დამრჩა შენი დანების“. ამაზე შორს ძნელია პლასტიურობა წავიდეს: ისეთი ძაფრი იყო ჭრილობა, რომ შიგ თითქო დანების პირი დარჩა. იმავე ლექსში ბესიკი იტყვის: „ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე“. სახე ძველია, რასაკვირველია,—მაგრამ ბესიკი სიახლეს აძლევს მას: ცეცხლს წარმოიდგენს ანთებულად და თანვე ხელს შეახებს მას შესაწველად. ეს ორმაგი პროცესი (ცეცხლის ანთებულობა და ხელის შეხება) ნამდვილი პლასტიური დინამიურობით სხეულდება.

ბესიკმა იცის, თუ რომელიმე სიტყვას სად ექნეს ადგილი. ეს „ცოდნა“ კი, სტეფანე მალარმეს გენიალი თქმით, პოეტის გენიალობას აცხადებს. თუ შესაძლოა სიტყვის გადასხმა, პოეტური ფრაზა ნაკლებია. თუ არაა შესაძლო, მაშინ მთელი ფრაზა ერთს მთლიან სხეულად იქცევა: პლასტიური სხეულება. ასეთი ფრაზა აქვს მაგალითად ვაჟა-ფშაველას: „ჯიხვმა სთქვა სალის კლდისამა“. ასეთი თქმა აქვს ბესიკს: „მათგან დაზიდულს მშვილდსა უძლოს“ (ლექსი: „მე შენი მგონე“; წარბ-წამწამები აქვს ნაგულისხმევი). აქ სიტყვის გადასხმა შეუძლოა: ფრაზა დინამიური სიმტკიცით იჭედება. იმავე შაირში იტყვის ბესიკი: „შენი ბაგისა ორნი მეცნეს: ტკბილი და მწარე; ორ-კეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე“. ყველამ იცის, რომ სიყვარულს ნექტარიც აქვს და შხამიც. ხოლო ამას ბესიკი ისე გამოთქვამს, რომ გამოთქმული ცინცხალ სიახლეს იღებს. ჯერ ამ ფენომენს იგი სენსუალურს სახეს უპოვის: ბაგე. ბაგე ორპირია: ხოლო ერთი რკალით სიტკბოსაც და სიმწარესაც მოსალტავს, შემდგომ პირდაპირ შესახები ხატი: „ორ-კეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე“. ეფექტი მძაფრია: აკიდო ორ მტევნიანი,—ამით თუ გამოეხატავ მას.

„ცრემლთა ისარნი“: მუსტაზადი. „დაბერდა ყური, სევდის ჰური“. აქ პლასტიურობა გროტესკამდე მიდის. „დადგესცა ხელნი“: ხელი ნიშანია მოძრაობისა და მოქმედების; თუ იგი „დადგა“, სჩანს—აღარც მოძრაობაა და აღარც მოქმედება. ბესიკიც მას იღებს სწორედ, რომ მისი „დადგომით“ პლასტიურად ასნეულოს ფსიხიური განცდა: ამ შემთხვევაში—საშინელი სევდა. და ქვევით: „სიზმარს ვემონვით ძილ-შეკონვით“. ჯერ სიზმარს დამონება:—ლამაზი სახე. შემდგომ: შეკონილი ძილი:—კიდევ უფრო მოხდენილი ხატი. ორივე ერთად—ნამდვილი პლასტიური აღმოთქმა.

ბესიკის პლასტიური ნიჭი მეტად ძლიერია. ყველა სახის ამოწურვა შეუძლოა. მოვიყვან კიდევ რამოდენიმეს: „სადაფნი ძოწსა მოუზღუდავს“,—„მეყნისა ოდეს სურნელება თმისა შენისა“ (ლექსი: „ეტრფის მთიებსა“; მეორე ფრაზა სენსუალობით ყვავილდება); „გამოჩნდა ჰალადი სულით-მხდელობისა“ (შაირი: „სევდის ლაშქარი“); „შრომანითა შლილნი, ყარამფილნი, შვენებით ზვაობენ“ (ლექსი: „მოვედ აწ ძმაო“); „ნათელსა სთოვს აფროდიტი ცისკარი, ელვარობით ტოპაზის ტახტს იმოსდა“ (ლექსი: „ვაშა მას დღეს“): საყნოსველი კოლორიტი, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება იმავე ლექსის ბოლო ფრაზაში: ქვეყნისათვის ნელ-საცხებლად იმოსდა“; „რა გული დავაგე შენად სარებლად“ (ლექსი ამავე სახელით).

თვითონ ლექსის სახელები ბესიკს პლასტიურად მოუნახავს: „ცრემლთა ისარნი“, „სევდის ლაშქარი“, „გიშრის ნავნი“. აგრეთვე ცალკე თქმანიც: ნარგიზი „ქცევა-მზიანი“ (ლექსი: „მე მივხედი მაგა შენსა“); „ვარდის ენითა“ (ლექსი: „ბულბული მოდის მწუხარებით“); „მზისა ენითა“ (ლექსი: „ეტრფის მთიებსა“); „მზედტურფაობს“ (ლექსი: „ვაშა მას დღეს“).

ლექსის რიტმში ბესიკი საშინლად ამახვილებს მუსიკალ ტალღას. ხან და ხან იმ ზომამდე, რომ ლექსის ტანი სრულიად იხრჩობა. მაგალითად: „რუსის ბრძოლა“; ნაკვეთი 56:

აგაზობდის,
გავაზობდის,
დაჭკოლდვიდის და ჰსთრთოლდვიდის;
ნავარდობდის,
შავარდნობდის,
მიწას დასცის, დაჭკოლვიდის;
ანაზრობდის,
ანაზდობდის,
განჭკაფდის და განსროლვიდის;
მილაღობდის,
თამაშობდის,
განაბნევდის, განსტროლევდის.

აქ ბესიკი ვირტუოზია უფრო ვიდრე ხელოვანი. ეს ერთგვარი „ალექსანდრიზმია“: ლექსის დამუშავება, ზიამ-გადასული:—სიცინცხლე „პირვანდელობის“ აღარ სჩქეფს ხალას ნაკადულად. ბესიკი ნამდვილი „ალექსანდრიელია“ ჩვენში. ამ მხრით ბესიკის ხანა შემოქმედების მხრით მეტად საინტერესო თემას წარმოადგენს. მოყვანილს ნაკვეთში რითმათა სიჭარბე: რითმა რითმას მისდევს ისე, რომ მათ შორის ჰქრება ყოველი მანძილი. უკანასკნელი კი (მანძილი რითმათა შორის) აუცილებელი პირობაა ლექსის რიტმის შექმნისათვის. დროგამოშვებით ბესიკი აღწევს ნამდვილს მუსიკალობას, თუმცა მაინც ხაზგასმულს. მაგალითად: „რძალ-დედამთილიანი“; ნაკვეთი 91:

ქალი ჰქტირს ნაზად,
ხმას აწყობს საზად:
„ვაი თუ ხმალი მიჰქროს გაზად!
ლომო და ნზეო,
გიწევ მკლავზეო;
აწ მკლავ წამზეო, სხდი ერთ ნაგაზად?!
მზე ხარ მარდია,
ჰქმენ ნავარდია,
ეს სავარდია იყნოსე მაზად.
შენთვის ურვილსა,
გნუკავ სურვილსა,
გულ-დამჭრვალსა, გამხადო რაზად.

ან კიდევ: იქვე: ნაკვეთი 93:

ქალი დუმილით,
ეშყით სურვილით
ზის ხელ-მოქდომით, ცრემლს აფრქვევს ხშირად:
„დამატყვეთ მთანო,
ხენო და კლდენო,
გულის ხელმწიფე მყავს განაპირად!
ნეტავი იმ დღეს,
რომ გამიღიმდეს,
ბროლის მკლავზედა ვიხილო ძილად!
მონას, მოლარეს,
მისთან მწოლარეს,
ლალის ბაგეთ მკოცნიდეს ტკბილად!“

საკმაოა. ასეთი მუსიკალობას ჩვენს პოეტთა შორის ძვირად თუ ვინმე აღწევს ბესიკის შემდგომ. მუსიკალობისათვის ბესიკი მიმართავს ხშირად ალლიტერაციას (შეხმატკბილება მრავალი ერთმიანი ასოების). ამ ხერხით იგი ლექსსაც სწერს ანბანზე: „ანზრით მოხვალ“ და „ამბავს ესწერ აღრინდელსა“. ავიღოთ მეორე. მაგალითად: „ლ“: ლალებრივი ლოყა ლომნით ლელწამ ლალსთა ლალობათა“; ან: „შ“: „შუბლთა შუქი შემოადგა, შაბაშ შვენის შუბობაო“. და მრავალი სხვა. ხოლო ამ მხრითაც ბესიკი ვერ ირჩენს ზომას ლექსებში: ეს ხერხი მას ხშირად ვირტუოზობად ექცევა. მაგალითად: „ზილფო-კასიავ, ნამკ-სასიავ-კინამოსანო“ (ლექსი: „ეტრფის მთიებსა“); ან კიდევ: „აკინთ-ნაზავ, ნამკნაზ-შენაახზავ“ (ლექსი: „მოვედ აწ ძმაო“).

„ქართულ რენესანსში“ ვსთქვი: ჩვენში „სამკაულს“ ლექსისას უფრო მეტი ყურადღება ექცევა ვიდრე მის „აღნაგობას“ (ჩვენს არქიტექტურაში კი—პირიქით). ეს მოვლენა ბესიკისათვისაც დამახასიათებელია: „სამკაულისათვის“ იგი თვითონ ლექსის ფაქტურასაც მიიტანს მსხვერპლად. ამ მხრით ზომას („თანდათანობით“) იჩენს იგი (ისიც რამოდენიმეჯ) მხოლოდ რამოდენიმე ლექსში. მაგალითად: „ტანო ტატანო. ეს ლექსი საერთოდ სტროფის სილამაზით გულ დაჭრილობის ხატვაა. ბესიკი ხატავს სატრფოს სილამაზეს თანდათანი ძლიერებით—და პარალელურად გულ დაჭრილობაც თანდათან იზრდება. პირველ სტროფაში ამბობს: „დამლდაგეო“; მეორეში: „მიქმოდენ ხელად“; მესამეში: „წ დამლევან ყოველნი დღენი“; მეოთხეში: „უშენოდ ხილვა არ ვისი მსურს“; და მეხუთეში: „მკვდარი მიჯნური დამიტირეთ“. აქ დაცულია ფაქტურის პრინციპი: დინამიურად განვითარება ერთის მთელის.

ბესიკის „იდეურობას“ აქ არ ვეხები. თუმც არ შემიძლია ორი ადგილი მაინც არ მოვიყვანო: „რაყიფად შემექნა ბედივე ჩემი“ (ლექსი: „გამტყორცა სოფელმა“); „რაყიფი“ საბა-სულხან ორბელიანს ასე აქვს განმარტებული: „ორი ერთის ტრფიალი იყოს“; მეტად გულისხმიერი თქმაა, თუ მოვიფიქრებს მისივე ბედი რაყიფად ექცა. მეორე: „განმშაგდა ქვეყანა“ (ლექსი: „სევდის ლაშქარი“); მოტრფიალეს დაჰკარგა სატრფო და „განმშაგდა ქვეყანა“ (მით თვით): დიდი აზრია.

მე მაინტერესებს ბესიკი პოეტური პლასტიურობის მხრით: რომელიმე რჩეული მისი სახე ჰქედულია ნამდვილად. მუსიკალობითაც დიდათ არის დაჯილდოვებული ბესიკი: განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში: მან განავითარა ლექსის მრავალი სატეხნიკო ხერხი, რაიც ერთი საუკუნის შემდგომ მხოლოდ ფრანგ სიმბოლისტებმა აიყვანეს პრინციპად. ამ მხრით ბესიკი ფენომენია ნამდვილი: აქ გამოჩნდა ძველი მოსილობა მასში მცოცხლები აღმოსავლეთის. ზოგან ისეთი სახეც აქვს ბესიკს, რომელსაც თანამედროვე ევროპიელი პოეტი თუ გადმოსცემს: „მიმშან ლხინმან ჭირების კონა მკრა გზასა“ (ლექსი: „ეტლზედ“). ერთგან იგი კალდერონის კონგენიალია: კალდერონი ხმარობს სახეს „შავ ვარსკვლავს“,—ბესიკიც: „შენმა ცამა ასხენ ვარსკვლავნი შავნი“ (ლექსი: „სვისადმი“).

გრიგოლ რობაქიძე.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ამიერ-კავკასიის კომისარიატის** სამხედრო სამინისტრო'ს საქმეთა კომისარის ამხანაგად დაინიშნა ვ. პ. გობეჩია.

— სწავლა-განათლების საქმეთა კომისარი ხან-ხოისკი თავის თანამდებობის შესრულებას უკვე შეუდგა.

◆ **8 საათის სამუშაო დღის დეკრეტი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატის გიორგობისთვის 27-ს სხდომაზე ილაპარაკეს 8 საათის სამუშაო დღის დეკრეტის შემუშავებაზე. დეკრეტი ამ დღეებში საბოლოოდ შემუშავდება და გამოქვეყნდება.

◆ **ურთიერთობა ჩრდილო-კავკასიასთან.** გიორგობისთვის 27-ს მოხდა თათბირი ამიერ-კავკასიის კომისარიატისა და სათემო სასურსათო გამგეობისა და ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენელთა შორის ჩრდილო-კავკასიასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. მოლაპარაკებამ მიზანს ვერ მიაღწია.

◆ **კომისარიატი და მაჰმადიანები.** გიორგობისთვის 27-ს მოხდა მაჰმადიანთა ცენტრალ კომიტეტის სხდომა ამიერ-კავკასიის კომისარიატთან დამოკიდებულების შესახებ. დაადგინეს, მასთან შეთანხმებულად იმოქმედონ.

◆ **საფინანსო საქმეები.** ბაქოს ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე, ნება დართოს მას 6 თვით ვადა გაუგრძელოს ბაქოს ქალაქის საბჭოს 1 მილიონ მანეთის ვექსილებს. საბჭოს ამოურჩევია კომისია, რომელმაც ბანკების პატრონებთან ერთად უნდა შეიმუშაოს ვადაზე ადრე გასანაღდებელ ვექსილებისათვის საპროცენტო ნორმა.

◆ **დამფუძნებელი კრების არჩევნები ამიერ-კავკასიაში.** დღემდე მოსული ცნობებით ამიერ კავკასიის საარჩევნო ნაწილში, დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგი ასეა: № 1 მენშევიკებს) მიუღიათ 112958 ხმა. № 4 (დაშნაკცაკანებს)—91855 ხმა. № 5 (ბოლშევიკებს)—31469 ხმა. № 3 (ესერებს)—29399 ხმა. № 2 (კადეტებს)—10826 ხმა. № 8 (ერ.-დემოკ.) 7649 ხმა. № 6 (ს.-ფედერ.)—5976 ხმა. № 7 (სომხ. სახალხო პარტ.)—2240 ხმა.

◆ **ქართველ სამხედრო კომისარის დაჭრა.** პეტროგრადიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ქართვ. სამხედრო კომისარი ესტატე მაჩაბელი მძარცველთაგან მარცხენა მხარშია დაჭრილი. ჭრილობა სასიკვდილო არ არის. იგი წევს იპოლიტის ლაზარეთში. მის მოადგილედ ასახელებენ ევგენი კანდელაკს. საჭიროა ამ თანამდებობის სანქცია.

◆ **მუშ. და ჯარ. საბჭოს არჩევნები.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების არჩევნები ქრისტეშობისთვის 3 თვის დასრულდება.

◆ **შეშის საკითხი.** ამიერ კავკასიის კომისარიატის სასურსათო კომისარი შეეკითხა ქალაქის თავს ნ. ელიავას, თუ როგორ მიმდინარეობს შეშის დამზადების საქმე. ელიავამ აცნობა, რომ გარდა სასურსათო დაწესებულებისა შეშას ამზადებს მთელი რიგი დაწესებულებებისა: ოლქის საინტენდანტო, ჯარის გამოკვების გამგეობის უფროსი, სამხედრო სამრეწველო კომიტეტი, საერობო კავშირი, ზემგორი, რკინის გზის გამგეობა. ეს გარემოება ეჭვი არ არის საქმეს აძნელებს.

◆ **პედაგოგიური მუზეუმი.** კავკასიის ცენტრალი პედაგოგიური ბიურო გადადის კავკასიის სათემო სამოსწავლო ბიუროსა და კავკასიის მასწავლებელთა კავშირის ხელში.

◆ **მკვლელობა.** ამასწინად მოთავსებული გვქონდა ცნობა, რომ ბოროტმზრახველებმა მოჰკლეს კახეთის რკინის გზისმეარტელე ნიკ. კაშინკოვი. სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა, რომ მკვლელი ყოფილა კონდუქტორი დომენტი თევზაძე.

◆ **წესრიგის დასაცავად.** კავკასიის ლაშქრის დეპუტატთა სათემო საბჭომ თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოს დაავალა ზომები მიიღოს ქალაქში წესიერების დასაცავად.

◆ **მდგომარეობა ქალაქში.** მცხოვრებნი ნერვიულ მდგომარეობას განიცდიან. ათასი ცრუ ხმები ვრცელდება. ბევრს შიშისაგან სახლიდან გარეთ არ გაუგზავნია ბავშვები. ქალაქში სამგლოვიარო წესრიგია. ქუჩებში სამხედრო პატრული გაძლიერდა. ამას გარდა ქალაქში საიმედო მუშებისაგან შესდგა შეიარაღებული რაზმები. რაზმელები განუწყვეტლივ დადიან ქუჩებზე.

◆ **თამბაქოს დატაცება.** უკანასკნელ ხანებში ცნობა მოვიდა, რომ ტრაპიზონში თამბაქოს საწყობებს არბევენ და თამბაქოს იტაცებენ. ამის გამო ამიერ კავკასიის კომისარიატის ფინანსიურ საქმეების კომისარი შეეკითხა ფრონტის კომისარს, რომელმაც უპასუხა, ტრაპიზონიდან თამბაქო ფულ უნდა გამოიზიდოს თბილისში. თამბაქო საწყობების პატრონებს რეკვიზიციის სახით უნდა ჩამოერთვას.

◆ **1200 ტომარა თეთრი ფქვილი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა 1200 ტომარა თეთრი ფქვილი აღმოაჩინა გალეტის ქარხანა „ამხანაგობაში“.

◆ **ზემგორის დაწესებულებათა გაუქმება.** ქრისტეშობისთვიდან დაშლიან ზემგორის 5 სამშენებლო საინჟინერო დრუჟინას.

◆ **სტუდენტთა კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე ეროვ. დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ამავე პარტიის წევრთა და თანამოაზრე სტუდენტთა კრება. განსახილველია სადღეისო საკითხები.

ქუთაისი

◆ **მეორე ქართულ რევოლუციური როტის დადგენილება.** გუბერნიის კომისარმა და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ მეორე ქართულ რევოლუციური როტის კომიტეტისაგან შემდეგი დადგენილება მიიღო:—გიორგობისთვის 20-ის სხდომაზე მეორე ქართულ რევოლუციური როტის კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან რევოლ. როტის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ქალაქში წესიერების დაცვა და ხალხის მტრებთან ბრძოლა, ამიტომ ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ და საჭიროდ ვთვლით, რომ გიორგობისთვის 18 ქუთაისში დატუსაღებულნი პირები: ვასილ ლომინაძე, შალვა ჩიქვინიძე, ლუკა მღვდელაძე, კაპიტონ ალერწიანი და პანტელეიმონ ბაბილაძე, როგორც ხალხის ყოველი მხრით შემავიწროებელნი, არ იქნენ განთავისუფლებულნი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით ჩვენ თვითონ დამოუკიდებლად მივიღოთ შესაფერი ზომები მათ წინააღმდეგ, ამ გზით დავიცვათ საზოგადოებაც და ჩვენი თავიც.

◆ **აფთიაქის მოსამსახურეთა გაფიცვა.** ქუთაისში არსებული კერძო აფთიაქების პატრონებმა უკვე დააკმაყოფილეს მოსამსახურეების მოთხოვნილებანი.

◆ **სურსათის გაზიდვის აკრძალვა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრი ჩხენკელი გუბერნიის კომისარს წინადადებას აძლევს, მიიღოს სასტიკი ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგეს ეზიდება სპარსეთში.

◆ **ფართალეულობის დარიგება.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი უკვე შეუდგა ბარათების დამზადებას ფართალეულობის შესაძენად და საზოგადოებას ამ დღეებში დაურიგდება.

ქ. ოზურგეთი

◆ **სამხედრო კავშირის განყოფილება.** შესდგა ქართველ მხედართა კავშირის განყოფილება.

ქ. ახალ-სენაკი

◆ **მატყლი.** ახალ-სენაკის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ქუთაისისას გამოუგზავნოს საჭირო მატყლი.

ქ. ბათუმი

◆ **შიმშილი.** პურის ფქვილი სრულიად არ არის. მცხოვრებნი შიმშილს განიცდიან.

ს. ჭალადიდი

◆ **რეკვიზიცია.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ს. ჭალადიდში მოახდინა 40 ვაგონი შეშის რეკვიზიცია, ქუთაისის მცხოვრებთა შორის გასანაწილებლად.

ქ. ზუგდიდი

◆ **ნავთის ჩამორთმევა.** სამაზრო კომისარის განკარგულებით ჩამოართვეს 300 ფუთი ნავთი ვაჭარ ი. ქირიას და გადასცეს კოოპერატივთა კავშირს.

სამხედრო წესები თბილისში

ქალაქ თბილისის ყველა მცხოვრებთ

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს დადგენილების თანახმად ამიერ კავკასიის კომისართან შეთანხმებით **თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქალაქ თბილისში აცხადებს სამხედრო წესებს.**

ეს საგანგებო ზომები გამოწვეულია მღელვარე მდგომარეობის გამო. მცხოვრებთა შორის და ჯარებში უპასუხისმგებლო ჯგუფები დადიან და ასისიანებენ ერთმანეთზე მცხოვრებთ და ჯართა ნაწილებს, რაიც შესაძლებელია მოჰყვეს ძმათა სისხლის ღვრა. ყველა ამის თავიდან ასაცილებლად და რევოლუციონურ წესიერების აღსადგენათ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს როგორც მოქალაქეთ, ისე სამხედრო ნაწილებს, უყოყმანოდ შეასრულონ შემდეგი დადგენილებანი:

1) **აღკრძალულია ყოველგვარი შეკრება და შექუჩება, ანუ მიტინგების გამართვა ქუჩაში თუ მოედნებზე; 2) აღკრძალულია პრესის საშუალებით თუ სიტყვიერად ერთი ნაციის მეორეზე ამხედრება, ერთი ჯარის ნაწილის მეორეზე მისისიანება;** 3) ამ განკარგულების წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლა სასტიკად იქნება განსჯილი, როგორც რევოლუციის ღალატი; 4) ყველა სამოქალაქო და სამხედრო ძალები, როგორც საზოგადო დაწესებულებანი, მოვალენი არიან დაემორჩილონ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებათ; 5) ამ დადგენილების დამრღვევნი დაპატიმრებულნი იქნებიან და დანაშაულობის მიხედვით განსჯიან სამხედრო რევოლუციონურ სასამართლოში.

ანარქია იმიერ კავკასიაში

გიორგობისთვის 26-ის მიმოხილვა

პირდაპირი მავთულით როსტოვიდან იტყობინებიან, მდგომარეობა უარესდება, თანდათან იწყება ხასიათი ილებსო. რკინის გზებზე მოძრაობა თითქმის სრულიად შესწყდა, რამდენიმე სადგური ცეცხლმა შთანთქა. ნავთის სამრეწველოები ახლაც სულ გადამწვარია. ძველებს ასეთივე ბედი მოელის. სათბობი მასალა ჯერ ჯეროვით საკმაოა, გროზნაში წესიერების აღსადგენად ჯარი არ არის. ჩაჩნებმა ქ. გროზნოს მეციხოვნე ჯარს და წითელ გვარდიას ულტიმატიურად მოსთხოვეს იარაღი დაუყონებლივ ყაზახებს გადასცენ. ყუბანის ოლქის ყაზახთა ატამანს ყარაულოვს განუცხადებია ვერავითარ ზომებს ვერ მიიღებთ ანარქიის მოსასპობად. გუდერმესიდან ჯარის კაცთა ერთი როტა წავიდა. ბაქოდან გაგზავნა გუდერმესსის დასაცავად 500 ჯარის კაცი, რომელთაგან დანიშნულ ადგილს მხოლოდ ნახევარი მისულა. სამგზავრო მატარებელნი შეიარაღებული ძალით იძრებიან სამხრეთისაკენ, სადგ. ჩერვლიონნაია—უზლოვაიას და თვით გუდერმესის ახლო-მახლო სამხედრო მოქმედება გაძლიერდა. ასევეა საქმე გუდერმეს—ხასავიურტის რაიონში, სადგურები ყადიურტი და ისაუ დასწვეს. ქ. გროზნო მოჭრილია მთავარ ლიანდაგს. გუდერმესში ბრძოლ 100 ვაგონი დატვირთული ვაგონი დაარბიეს. მოსამსახურეები შიშით ვერ მუშაობენ. სამგზავრო მატარებლებმა გუშინ ვერ გაიარეს. დღეს ჯერ ცნობები არ მოსულა.

აბრეკების მოქმედება

ბაქოდან იტყობინებიან, რომ სად. გერძელისა და სად. ბატაშევსკის შუა აბრეკთა ძლიერი რაზმები დგანან. ამ რაიონში მატარებლების მოძრაობა შესწყდა. ჯავშნიანი მატარებელი ოდერმენდიდან უკან გავიდა.

მატარებელზე თავდასხმა

როსტოვიდან იტყობინებიან, გიორგობისთვის 24 სტანიცა ხანკალიდან გამოვიდა მატარებელი, რომელიც შესდგებოდა ერთ ორთქლმავალსა და რამდენიმე დასასვენებლად მიმავალ მოსამსახურეებით სავსე ვაგონი. გამოსვლა თუ არა ხანკალის მატარებელი, ბოროტმზრახველებმა ლიანდაგიდან გადააგდეს, შემდეგ სროლა აუტეხეს და გაძარცვეს. 6 კონდუქტორი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს. გროზნოში ჩაჩნებთან სროლა განახლდა.

თბილისის ქალაქის საბჭო

გიორგობისთვის 27 სხდომა

რადგანაც თბილისში ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი და მისი ამხანაგი მერხელევი, სხდომამ დროებით თავმჯდომარეთ ალექსანდრე ლომთათიძე აირჩია. მისი თავმჯდომარეობით სხდომა გაიხსნა 27 გიორგობისთვეს.

რუს მართლ-მორწმუნეთა კავშირი თბილისში

ალ. ლომთათიძე კითხულობს რუს მართლ-მორწმუნეთა კავშირის განცხადებას. კავშირი იგი იწყებს თბილისის ქალაქის გამგეობას, რომ რუსს მცხოვრებთა ინტერესების დასაცავად და ქრისტეს სარწმუნოების გასამტკიცებლად დაარსდა რუს მართლ-მორწმუნეთა კავშირი. ახალ კავშირს აზრად აქვს გამოჰყოს თავის წრიდან აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც დამოკიდებულებას იქონიებს ქალაქის საბჭოსთან და ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან.

ჯაპოვი. (ს. დ.) როგორც დემოკრატი და როგორც ჯერ კიდევ რუსი მოქალაქე შემდეგს ვაცხადებ: ჩვენ საქმე გვაქვს ანარქისტულ მოვლენასთან ეს ახლად დაარსებული კავშირი, რომელსაც მიუთვისებია მართლ-მორწმუნე რუს მცხოვრებთა ინტერესების დაცვა, ჩემში უნდობლობას იწვევს. მართალია, თბილისში ბევრი რუსი მოქალაქეა, მაგრამ ისიც მართალია, რომ რუსი მოქალაქეების ინტერესებს იცავს უკვე არსებული დემოკრატიული ორგანოები, მე მწამს, რომ რუსი მოქალაქეები კვლავაც ამ არსებულ დემოკრატიულ ორგანოების დროშის ქვეშ იქნებიან, და ახლად დაარსებულ „რუს მართლ-მორწმუნეთა კავშირს“ არ გაჰყვებიან. ამ კავშირს დამალული ანტი-დემოკრატიული მიზნები უნდა ჰქონდეს.

ამ საგანზე საბჭომ კამათის გაგრძელება საჭიროდ არ სცნო, და მხოლოდ მხედველობაში მიიღო კავშირის განცხადება.

სასურსათო საქმე.

ნ. ელიავა. ჩვენმა ცდამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა და დღეს ამიერ კავკასია და კერძოდ თბილისი იმყოფება სურსათის მხრივ ცუდს პირობებში. სურსათის მოტანა თბილისისთვის ძლიერ სჭირს. ამიტომ სურსათის განაწილება მინიმუმამდე უნდა შევამციროთ. არსებული მდგომარეობა მცხოვრებლებს უნდა ვაუწყოთ საგანგებო განცხადებებით: ამ დღეებში პურის რაციონი კვლავ შემცირდება და ორთაცხობილა (სუხარი) გაიყიდება. ამასთანავე ზომები იქნება მიღებული, რომ კარტოფილი და მჭადის ფქვილი შემოიზიდოს ქალაქში. ვფიქრობთ, რომ საზღვაო მიმოსვლის გახსნის შემდეგ სურსათის საქმე გაუმჯობესდება და მოკლე ხანში თბილისს საჭირო სურსათი იქნება.

მ. ჟურული (ნ. დ.) მოითხოვს, რომ კერძო პირებს, რომელთაც საშუალება აქვს შემოზიდოს თავის საჭიროებისათვის აუცილებელი სურსათი, მიეცეს უფლება სურსათის შემოტანისა, რასაკვირველია, განსაზღვრულ რაოდენობაში.

საბჭომ ჟურულის განცხადება მიიღო მხედველობაში და დაადგინა, სურსათის შემოტანაში კერძო ინიციატივას დაეთმოს ფართო ადგილი. მხოლოდ ბოროტ-მოქმედების თავიდან ასაშორებლად კერძო პირების შემოტანილ სურსათზე ქალაქის სასურსათო კომიტეტის ზედამხედველობით.

ბოლშევიკების გამოსვლის წინააღმდეგ

ნ. ელიავა. თბილისის მცხოვრებლები ბოლშევიკების მუქარის ქვეშ იმყოფებიან. არის ცნობები, რომ ადგილობრივი ბოლშევიკები გამოსვლას აპირებენ. ჩვენ არავითარმა შიშმა არ უნდა შეგვიპყროს. იმედით უნდა ვუყუროთ ხვალინდელ დღეს. ამ განცხადებამ ხმოსნებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რადგანაც სხდომაზე არც ერთი ბოლშევიკი ხმოსანი არ ყოფილა, ამიტომ ქალაქის თავის განცხადებას კამათი არ გამოუწვევია.

დელეგატების არჩევნები ქალაქთა ყრილობისათვის

ქალაქთა ყრილობისათვის, რომელიც მოხდება თბილისში გიორგობისთვის 30 დღეს, ქალაქის საბჭომ აირჩია ექვსი წარმომადგენელი.

მენშევიკების მხრივ. ი. ჟორდანია, გეგეჭკორი, და რუსია, **ს.-რევოლუციონერების მხრივ** ჩემოდანოვი და ავდეევი, **დაშნაკცაკანების მხრივ** ოჰანჯანი.

ქალაქის საბჭოს მოხსენებანი.

ქალაქის საფინანსო მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენებით მიმართა ქალაქის გამგეობის წევრმა სმირნოვმა. მომხსენებელმა შეადარა თბილისის ქალაქის საფინანსო მხარე, და აღმოაჩინა, რომ შედარებით სხვა ქალაქებთან თბილისის ფინანსები უკეთეს მდგომარეობაშია, მიუხედავად ამისა ქალაქს წელს დიდი დეფიციტი ექნება, დაახლოვებით 10 მილიონი. დეფიციტის დასაფარავად ავტორი მოკლე ვადიანი ვალის აღებას თხოულობს. ვალების დასაფარავად კი აუცილებელია საგანგებო გადასახადების შემოღება, როგორც მაგალითად, კინემატოგრაფებზე, ცირკზე და თეატრებზე. მცირე კამათის შემდეგ მოხსენება დამტკიცებულ იქნა.

სხდომა ღამის პირველის ნახევარზე დაიხურა. შემდეგი სხდომა ქრისტეშობისთვის 4.

მ. საიხელი.

ღია წერილი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

(უპარტიო ქართველის ხმა)

დამახინჯებული ჩვენი კეკლუცი სამშობლო, უპატრონო, გადატყავებული და დაბეჩავებული ქართველი ერი, ერთობ საქართველო და მასში მოსახლე ქართველები—ზემო სართულებში გადაგვარებული, შუასართულებში პარტიებათ დაყოფილი ინტელიგენტები, სხვა და სხვა გზით ერთი მიზნისაკენ მიმავალი, ქვედა სართულებში—მუშა-გლეხობა, ქართლ-კახეთში ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმული—სდგას ეს ერთად მოგროვილი ხალხი და სდუმს, შესჭყურებს დაავადებულს, სისხლიდან დაცლილს და სამარეს კარებამდის მისულს სამშობლო-დედას, დონე-მიხდილს...

რადას ელით, ჩვენში პირველო პოლიტიკურო პარტიავ, სოციალ-დემოკრატებო, რომლებმაც ბორკილი მოხსენით დღეს სულთმობრძავ საქართველოს? თქვენ,—ფედერალისტებო, ახლად გამოსულნო საქართველოს ასპარეზზედ სოციალისტ-რევოლუციონერებო და თქვენც, ჯერ ნორჩო და ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატებო? რადას უყურებთ, რატომ არა სდგამთ ნაბიჯს, რომელიც უკვე გადასდგა რუსეთის საზღვრებში მომწყვდეულმა ყოველმა ერმა! რად არ შესძახებთ სამშობლო დედას: აღსდეგ, მოვიდა შენი განთავისუფლების დრო! აღსდეგ, წელში გამაგრდი! აღივსე ჯანითა და მხნეობით, შობე და გაგვიზარდე ახალი თაობა, მხნე, თავისუფალი და ამაყობით აღსავსე?!.

დღევანდელმა ბორკილებით დაჯაჭვულმა სამშობლომ შექმნა და გაზარდა ირაკლი წერეთელი, ნოე ჟორდანია და მათი გამორჩეული ამხანაგები, დღევანდელ რევოლუციისა და დემოკრატიის ბელადები—გეგეჭკორი, ჩხეიძე, ჩხენკელი და მრავალი სხვა.

განა თქვენ, სხვა და სხვა პარტიის მეთაურებო, არა გსურთ, რომ თქვენი პოლიტიკური პროგრამები, გადაწყვეტილ მინიმუმის გარეთ, სისრულეში მოვიდეს? თუ გსურთ და ფიქრობთ, რომ მიანიჭებთ ბედნიერებას მთელ კაცობრიობას, შეკავშირდით და შეერთებულის ძალით გამოიჩინეთ თქვენგანვე განთავისუფლებული სამშობლო მხარე, რომ შემდეგში მან ალგიზარდოს სხვა და სხვა დარგის ირაკლი წერეთლები და ამით განიმტკიცოს ბედნიერება, რომელიც განზრახული გაქვთ მთელი კაცობრიობისათვის...

განა არა გრძნობთ, რომ ყოველი ქართველი, პარტიაში ჩარიცხული, ანუ პარტიის გარეთაც მყოფი, ნამდვილი დემოკრატია? გაუჭრით გული თუნდ უკიდურეს ბოლშევიკებსაც—შიგ ამოიკითხავთ, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა და ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, სამშობლოს ბედ-იღბლის დღევანდელო პატრონებო,—შეერთდით და შემოიერთეთ არა მარტო პარტიების წევრები, არამედ პარტიებს გარეთ დარჩენილი საქართველოს მოღვაწენიც; გვერდში ამოიყენეთ, ამუშავეთ, მათის ცოდნითა და გამოცდილებითაც ისარგებლეთ და ამნაირად გაიადვილეთ საქართველოს წინაშე ის შრომა, რომელიც იკისრეთ სამშობლოს საბედნიეროთ!

დღევანდელ პირობებში, როდესაც საქართველო თავის საზღვრებში ერთდება, ნუ დაივიწყებთ, რომ თუ ჩვენი მოსაზღვრე სომხობა ცდილობს გააძლიეროს თავისი ეროვნება თავის საზღვრებში ხელოვნურად სომხების ჩასახლებით, ჩვენ, ქართველებს, სრული უფლება გვაქვს და უნდა გვქონდეს იმისი, რომ ჯავახეთის, მესხეთის, თავისუფალ ადგილებში გავაძლიეროთ ქართველების მოსახლეობა, დავაბრუნოთ საქართველოს საზღვარ-გარეთ გადასული და გაქცეული ქართველობა და ამით გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა.

თუ, ვინიცობაა, და ეს მოსალოდნელია, ჯავახეთიდან და სხვა მხრიდან დაიძვრება რომელიმე რიცხვი გადმოსახლებულ, ამ ოთხმოცდა-ათის წლის წინად, სომხობისა და თავის ძველ კერას, ავტონომიურად მოწყობილს მიეშურება, ვინ უნდა იყოს ჩამოსახლებული ამ ადგილებში?

ამის პასუხი პირდაპირია! ის, ვისაც სრულებით მიწა არ აბადია, და საქართველოდან, როგორც მისი შვილი, ვერსაით საკოლონიზაციოთ არ წავა, არც თავის სურვილით, ან სხვის ნებით!

ესე იგი, თავისუფალი მიწები ეხლაც და მომავალშიც, საქართველოს საზღვრებში ქართველ უმიწა-წყლო გლეხობას უნდა ჩაბარდეს!

ცნობა გვაქვს, რომ წინანდელ, აწ გადაგდებულ მთავრობის დროს საქართველოს საზღვრებში მცხოვრებს ყოველ ერს თვით ქართველ ერზე უკეთესად აქვს მოწყობილი ადგილ-მამულის საქმე. მეფის ნაცვლად ნამყოფი ვორონცოვი თავის მოხსენებაში აღიარებს, რომ საქართველოს საზღვრებში რუსეთის მთავრობას ყველასათვის მიუცია დახმარება მიწების მიზომვით,—რუსებისათვის, სომხებისათვის, გერმანელებისათვის და სხვებისათვისაც,—მათთვის ფულით დახმარებაც აღმოუჩენია, მფარველობაც გაუწევია. დავიწყებული ჰყავდა მაშინდელ მთავრობას მხოლოდ ქართველი ერი, რომელზედაც ზრუნვა,—ამბობს ვორონცოვი,—არასოდეს არა გვქონია და ეს ერი უმიწა-წყლოთ იღუპება.

ეს—უტყუარი ფაქტია და ამ ფაქტს ანგარიში უნდა გავუწიოთ! ნუ დავეძებთ ნურაფერს, თამამად წარმოვსთქვათ სურვილი, რომ ქართველ უმიწა-წყლო ერსაც მიწა სჭირია და სადაც მოიპოვება საქართველოს საზღვრებში თავისუფალი მიწები—ყველა ეს მიწა უნდა მიეცეს უმიწა-წყლო ქართველებს, უნდა მიეცეს იმ ერს, რომელსაც სხვა ერებთან შედარებით ნაკლები მიწა აქვს და რომელსაც ამიტომ მეტი დახმარება სჭირია...

საჭიროა პარტიების შეერთებული შრომა, საჭიროა პარტიებს გარედ დარჩენილ ქართველების გამოყენება, იმათი დაახლოვება, ვისაც იცნობს საზოგადოება—ამით ეროვნულ საბჭოს საქმიანობაც უფრო ნაყოფიერი იქნება.

ივანე დიმიტრის ძე აფხაზი.

პატარა ფელეტონი

მე-„4“ ნუმერი

„ახალციხის მაზრის სოფლებში ქართველი გლეხები ხმას მე-4 ნუმერს აძლევდნენ“.

(გაზეთიდან)

ძალიან გამაოცა ამ ცნობამ. ბევრი ვიმტვრიე თავი იმის გასაგებად თუ რამ აიძულა ქართველი კაცი, რომ უცხო ერის ეროვნულ პარტიას მისცა ხმა.

მე მესმის, რომ არჩევნებისადმი გულცივობით მოსულიყვნენ გლეხები.

ან და, რაკი ყველა პარტია ბედნიერებას ჰპირდება არჩევანში, არ შესულიყო გლეხი და რომელიმე პარტიისთვის მიეცა ხმა. ან ისე მოქცეულიყო, როგორც ერთ მოხუცს მოუვიდა არჩევნების დროს:

— წაიკითხა მოხუცმა გლეხმა ყველა პარტიის მოწოდებები და სთქვა:

„რაზე ამტვრევს ხალხი ერთმანეთს თავ-პირს ყველა პარტია კარგს გვპირდება,—

დეე, რა გინდა, ყველანი გავიდნენო —სთქვა ესა მოხუცმა.

ჩასხა ქაღალდის ნაგლეჯში ციფრები № 1, № 2, № 3, № 4, № 5 № 6...

დახურა კონვერტი, ჩაუშვა ყუთში და სთქვა:

— ღმერთმა ყველას გაუმარჯოს, ყველას კარგი უნდა გლეხიკაცისათვისაო.

—

ან ისე მოიქცეოდნენ ახალციხელი გლეხები, როგორც ერთ სოფელში ხევსურები:

შაბათის მათხოვრებისავით აირივნენ სხვა და სხვა პარტიის მოქადაგენი სოფლად.

ერთმანეთს აგინებდნენ, ორიოდე ალაგას დაქარჩეს კიდეც.

თავის თავს აქებდნენ.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრნიც კი საპროპაგანდოთ იყვნენ წასული.

ყუთი უპატრონოთ იდგა...

მთელი დღე მასთან არავინ მისულა.

ბინდისას ყუთების გარშემო შემოგროვილიყვნენ პატარა ბალღები და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.—

ვინ უფრო დიდ თაგვს ჩააძვრენდა ყუთში.

მაგრამ ახალციხელ გლეხებს ალბად არ ჩევნებისადმი გულცივობით არ მოსვლიათ გადაშნაკცაკანება;

ვიცით ისიც, რომ ახალციხელი ქართველები მუდამ სჩივიან მათი ეროვნული გრძნობის შებღალვას.

მაგრამ რა მოხდა?

მომხდარა ის, რის შესახებაც ამას წინად გვწერდა მთიულეთიდან ჩვენი კორესპონდენტი:

„სოფელ-სოფელ დადიოდა ერთი სომეხი ჯარის კაცი, ურიგებდა ხალხს მე-4 ნუმერ სიის ბიულეტენებს და ეუბნებოდა: ეროვნულ-დემოკრატებს და ფედერალისტებს ბატონყმობის ჩამოგდება უნდათ, სოციალ-დემოკრა-

ტებიც მათ მიემხრნენ და გლეხების დამცველი მხოლოდ მე-4 ნომერ სიის კანდიდატები არიან".

ეს „დიდებული" იმედი რომ განვავითაროთ გამოვა, რომ:

ქართველების „დაშნაკცუტუნის" პარტიის შემწეობით და ღვთის მადლით მოგვცემენ რესპუბლიკანურ ავტონომიას.

რომლის პრეზიდენტად ქართველი გლეხობა ერთხმად უკადოდ აირჩევს ალექსანდრე ხატისოვს.

ქართველ გლეხობაში ამ სრულ საკუთრებად მამულების გადაცემის შესახებ ვრცელ კანონპროექტებს წარადგენენ „საქართველოს" პარლამენტში სოციალისტი ლორდები, მანთაშევი ტერიტორიას ვეელს სამოთხედ გადაქცევს, ქართველ გლეხებს გადასცემს და თან რეფერენდუმის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს და მადლიერ გლეხებს ჰქვიან და „მზრუნველ" სოხოსახს ჩაუსახლებს, რომ ქართველს გლეხებს შემდეგშიაც არ მოაკლდეს „რაინდ" სომეხ ერის—დაშნაკცუტუნის *) მზრუნველობის ნაყოფი;

ასევე მოიქცევა დანარჩენ საქართველოში ანანოვი, ხოლო საქართველოს სხვა ნაწილებში ასევე მოიქცევიან ათასი მანთაშოვები და ანანოვები.

მადლიერი ქართველი გლეხები კი თბილისში ერევნის მოედანზე უზარმაზარ, ივაშმარგალიტით მოჭედილ ძეგლს დაუდგამენ გრიგოლ არწრუნს, რომლის გამოსახულებით ამიერკავკასიაში სწორედ ამ ორი-ოდე წელში უნდა შესრულდეს კავკასიის მმართველი შტატები 40 მილიონ სომეხ—მცხოვრებლებით.—

ძალამ დაუდგავდენ იმას, რომ წინაპარნი [illegible] სამეფოდ ახსოვდა და ქართველებისათვის მადლიერების სიხარე ასე გაძლიერდებოდა...

ფილ-ქს.

გლეხის კატეხიზმო

კითხვა:

ეკუთვნის თუ არა მიწა ყველა იმათ, ვინც მასზე მუშაობს [illegible]?

პასუხი:

არავის დროს არ ეყოფა. ძნელი სათქმელია თუ რამდენი მიწა გახდება დანატებით საზოგადოდ, ამის თქმა შეიძლება მაშინ როდესაც სოფლის საშუალო ოლქების ცნობებს ვიხილავთ. დაახლოვებით კი შეიძლება ითქვას, რომ გასაყოფი იქნება: სახელმწიფო და საუფლისწულო 5 მილიონ დესეტინამდე, კერძო პირთა საკუთრება დაახლოვებით 50 ან და 55 მილიონი, საეკლესიო, სამონასტრო და სხვა სულ 5 მილიონამდე, საიჯარო კერძო [illegible] შეიძლება გამოეყოს 5 თუ 10 მილიონი. მაშასადამე სულ 75 მილიონი დესეტინა; თუმცა ხოლო უფრო ნაკლები გამოჰყავს. ეს მიწა კი იმათაც არ ეყოფით ვინც საჭიროებს, რომ მიწა მიემატოთ. იმაზე ზრუნვა კი რომ მიწა ეყოს ყველა მაზე მუშაობის მსურველს სულ ტყუილია.

კითხვა:

რა უფრო საჭიროა, მიწის მფლობელს მიწა მიემატოს, თუ მისი ინტენსიური დამუშავება.

პასუხი:

რა თქმა უნდა, მის მფლობელს მიწის ინტენსიური დამუშავება უფრო ესაჭიროება. შეიძლება, რომ იმ გლეხებს ვისაც ცოტა მიწა აქვთ, ერთ წიწა მიეცეთ, ზედმეტი ნოყიერი [illegible] ჩაიყვანოთ და საშუალოდ ან და მოგვებული მიწა ვისაც აქვს მათ არა ვარგებით რა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხალხი მრავლდება და 12—15 წლის შემდეგ მოემატება ერთ მეორეხვედით მეტი იმაზე, რაც ეხლა ემატება. მაშინ მათთვის ველარსაიდან გამოვნახავთ მიწას. ინტენსიური დამუშავებით და მეურნეობის გაუმჯობესებით კი იმის მიღწევა შეიძლება, რომ მიწა მოგვცემს ორჯერ თუ სამჯერ მეტ მოსავალს, ოთხჯერ თუ ხუთჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე ეხლა, როდესაც მეურნეობა დაბალ საფეხურზე სდგას. შემუშავების გაუმჯობესება—სარგებლობა მოუტანს ყველა მშრომელ მიწის მუშას, და არა მარტო მათ, ვისაც ცოტა მიწა აქვს. როდესაც შემუშავება გაუმჯობესდება მეტი მოსავალი და მეტი შემოსავალი ექნებათ იმათაც, ვისაც მიწა საკმაოდ ან და მეტიც აქვს. უმთავრესი კი ის არის, რომ ჩამოერთვა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, შემდეგ ხომ ველარ საიდან გამოძებნით მიწას. მიწის შემუშავება კი სულ ახალ-ახალ სახეს მიიღებს, თან დათან გაუმჯობესდება და თითქმის გაუმჯობესებასთან ერთად უფრო მეტ მოსავალს და უფრო მეტ შემოსავალს მოგვცემს მიწა. ამიტომ თუ გლეხები შეეცდებიან შემუშავების გაუმჯობესებას, მიწის შემოსავალი თანდათანობით იმატებს, ასე რომ მცხოვრებნიც ხომ გამრავლდებიან, მაგრამ ისინი ეხლანდელზე გაცილებით კარგა იცხოვრებენ.

კითხვა:

როგორ დავფაროთ სათავადო-სამუშო ბანკების ზარალი იმ შემთხვევაში, თუ მასში დაგირავებულ მიწებს გამოუსყიდველად ჩამოვართმევთ?

პასუხი:

თუ ბანკში დაგირავებული მიწები გამოუსყიდველად ჩამოვართვით, მაშინ მისი ზარალი საზოგადოებრივმა შეძლებამ უნდა აანაზღაუროს, ე. ი. ბანკის ზარალი უნდა დავფაროთ იმ ფულით, რომელიც მთელ მცხოვრებლების გადასახადებით,—მათში ფული გადახდებათ იმ მოქალაქეებს და იმ გლეხებსაც, რომელთაც მიწის გაყოფის დროს კი არა ხვდებათ რა. რა თქმა უნდა ეს უსამართლობა იქნება, რადგან გლეხებს, მოქალაქეებს ფულს გადაახდევინებენ იმ მიწის გამოსყიდვაში, რომელიც მათ კი არ შეხვდებათ, არამედ იმ გლეხებს, ვისაც ცოტა მიწა აქვს. სოციალისტ-რევოლუციონერები ფიქრობენ, რომ ბანკების ზარალს კაპიტალისტებს აანაზღაურებინებენ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენში ცოტაა კაპიტალისტები და რამდენიც უნდა ვაძლევინოთ მათ, სულ ერთია, მთელს საქმეში ფული [illegible] არ გასწვდება და ჯერი მიდგება იმაზე, რომ მისთვის მშრომელი ხალხიც გადაიხდის ფულს [illegible] ასე გამოვა, რომ ერთი მიწას იყიდის, ხოლო მეორე ფულს გადაიხდის.

კითხვა:

შესაძლოა სოციალისტების ლოზუნგის „მიწის ჩამორთმევა გამოუსყიდველად" ცხოვრებაში დანერგვა [illegible]?

პასუხი:

მიწის გამოუსყიდველად ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია, რადგან უმრავლესობას მიწა ნასყიდი აქვს. [illegible] და რაკი ჩვენ სხვის ფულს არ ვტაცებთ, არც თუ ოფლით ნაშოვნი საგანი თუ მიწა უნდა ჩამოვართვათ. [illegible] თითქმის მიწის [illegible] ნაწილი დიდი ხანია რაც დაგირავებულია სადგურ [illegible] ბანკებში და ნავაჭრებით [illegible] დიდით მიწის პატრონები თავიანთ მამულის შემოსავლის უმეტეს ნაწილს იხდიან პროცენტების მოსაშორებლად. თუ მიწა ასე ჩამოვართვით, რომ არა სასყიდელი არა მივეცით, მიწის პატრონები პროცენტებს ვერ გადაიხდიან. ამით კი ზარალში იქნებიან ისინი ვინც მათ ფულს აძლევდა, ზარალში იქნებიან ისნი, ვისაც ბანკებში [illegible] ქაღალდები აქვთ, ხოლო ეს ბანკების ქაღალდები კაპიტალისტებს კი არ უჭირავთ, არამედ წვრილ მესაკუთრეთ, რომლებიც ოფლით ნაშოვნ ფულზე ყიდულობდენ. მარტო ერთი მამულების დასაგირავებელ ბანკებს 800 მილიონ მანეთის გირავნობის ქაღალდები აქვთ. მაშასადამე თუ მიწას გამოუსყიდველად ჩამოვართმევთ, შემნახველ კასებში ფულის შემტანნი, ე. ი. [illegible] ფულის [illegible] კიდევ [illegible] თუ კი სათავადო-სამუშო ბანკებს [illegible] კონტროლდებიან, [illegible] ზარალს [illegible] ბანკების [illegible] დიდი უბედურება იქნება როგორც მთელ მეურნეობისათვის, ისე რომელიმე მხრის სამეურნეო ცხოვრებისათვის.

*) დღეს სომხობის 90 პროცენტზე მეტი „დაშნაკცუტუნს" აძლევს ხმას.

კორესპონდენცია
რაჭიდან

სოფელი ზნაკვა. 12 ამ თვეს აქაც დაიწყო დამფუძნებელ კრების არჩევნები. არჩევნების დაწყებისას აქაურ მცხოვრებმა გ. ბაქრაძის მიერ ადგილობრივ რამოდენიმე პირის დახმარებით გადაყენებულ იქმნა ოფიციალი საარჩევნო კომისია, არჩევნები მოახდინეს არაოფიციალმა პირებმა, ამასთანავე ხალხს არ უხსნიდნენ პარტიულ პროგრამებს, არამედ აძლევინებდნენ ხმებს მხოლოდ № 1. მეორე სიის შესახებ ეუბნებოდნენ: ეს პარტია მუქთა ხორათა ინტერესის დამცველია, რომელიც [illegible] და სხვა. საარჩევნო არჩევნები აწარმოეს ისე, როგორც მათ ჰსურდათ. ეხლა, ასეთს პირობებში არჩევნები უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მას ძალმომრეობის ხასიათი ჰქონდა. გარდა ამისა, კომისიის გაძევების შემდეგ, მოჰყვა ამ საზოგადოების წევრების გათიშვა ბიულეტენების უქონლობისა და მათი არჩევნებში არ დაშვებისა გამო. ოფიციალმა გადაყენებულმა საარჩევნო კომისიამ საჩივარი აღძრა სამაზრო კომისიის წინაშე. საჩივარს ჯერ არაფერი შედეგი მოჰყოლია. ვნახოთ, რამდენად სამართლიანად იცნობს ხსენებული სამაზრო საარჩევნო კომისია ამ გმირების წარმოებულს უკანონო არჩევნებს. იმათ განდევნეს ზნაკვას კანონიერი საარჩევნო კომისია და ამით საშვალება მისცეს თავის თავს არჩევნები თავისებურად ეწარმოებინათ; ამიტომაც გადაყენებული კომისია საჭიროდ ცნობს: კანონიერად უნდა ჩაითვალოს თუ კერძოდ ზნაკვის არჩევნები? [illegible] საშუალებით პასუხს მოგვცემენ კანონიერი არჩევნების დამრღვევნი და უკანონო არჩევნების მომხდენნი პირნი.

საშუალოდ ასევე უნდა ითქვას თითქმის მთელს მაზრაზე, საზოგადოდ ქვემო რაჭაში არჩევნები გაუგებრად განუმარტებლად მოხდა, არსად ერთი პარტიის პროგრამები არ განუმარტავთ, რადგანაც ამ განმარტებაში თავის დამარცხებას ხედავდნენ გაბატონებული პარტიის წარმომადგენელი.

ზნაკვის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გერონტი [illegible]**.

ბორჯომიდან

ბორჯომის მხარე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ადამიანისას, არა მარტო ბუნებრივი სიმდიდრით და მიწის სინოყიერით, არამედ თვით ხალხი, მათი მისწრაფებანი და ზნე-ჩვეულებანი.

შუალედიდან შემდეგ ვერაზე ქართველთა სოფელია სადაც არც სკოლა და არც სხვა რაიმე დაწესებულება, გარდა ახლად გახსნილ კოოპერატივისა. აქედან 6 ვერსზე მდებარეობს ბერძნების სოფელი ოფრეთი, სადაც ნახევარზე მეტი ქართველობა ცხოვრობს, რომელთაც [illegible] ვერც ბერძნული შეუთვისებიათ და ვერც ქართული. ერთად-ერთი ენა მათი თურქული ენაა. ამაზედ ლოცულობენ, ამაზედ ლაპარაკობენ. ოფრეთს და სიონს შუა, ხოლო შავიხევიდან ხუთი ვერს ლამორებით მანთაშევის მამულზედ გაშენებულია ს. წყრუსი. (ქართველებია) სოფლის ხალხს სიცოცხლე [illegible], ქართულ მშვენივრათ ლაპარაკობენ, ხოლო ლოცვა-ვედრება ბერძნულად სრულდება ისევე, როგორც ოფრეთში. რადგან აქ ოფრეთის მღვდელი დაიარება და არც თვით ხალხს უნდა მის ჩამოშორება, ერთის მხრივ, რომ მათ შეჩვეულია, ხოლო მეორეს მხრივ [illegible] უნდა ჰქონდეს აქაურ ქალებსაც, რომლებიც მოყვანილნი არიან რძლებად ოფრეთიდან. აქ არსებობს სკოლა, მაგრამ დაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა მიერ, სკოლაში მოყვანილი დაიარებიან, 70 ბავშვია, ოთახი სკოლისა ვიწრო და შეუფერებელია: უჭეროა, ფანჯარა მასთან პატარა, [illegible] მოწყობილი, რის გამო დიდი გაჭირვებაში [illegible] ბავშვები. [illegible] მასწავლებელი, იგი იძულებული ხდება სადილობამდის ერთის განყოფილებას ასწავლოს, ხოლო სადილის შემდეგ მეორის. სოფლის ქვემოთ პატარა გორაკზე [illegible] მამულებს [illegible] შემორჩენია [illegible] ტყიანი მთები. ქვემოთ წამოხვალთ კიდევ პატარა გორაკია, რომლის კალთებზედ დაცემულია კოშკი და უშველებელი მინდორი მრავალ სხვა და სხვა ხეხილებით და უზარმაზარ კაკლის ხეებით, ნანგრევ საწნახლებით და მაგრამ [illegible] ბაღით ზილ დვინის ქვევრებით, ეტყობა აქ ოდესღაც გაშენებული ყოფილა სოფელი. ამ მინდორს ორად ჰყოფს მრავალ წარსულის მოწმე, მთის ნაკადულიდან გადმონახეთქი აწკარა, რომელსაც ხეები უკეთია პატარა, ხოლო ათასნაირად დაკლაკნილი კალაპოტი. მოწკრიალებს და თავის წკრიალით ძველს გვახსოვრებს. აქეთ-იქით მაღალი, მიუვალ მთებზედ, ხშირ ტყეში დაინახავთ უფრო ყურადღების მომქცევ ეკლესიებს, რომელთა კედლებს ხავსი მოჰკიდებია, ზოგს ცალცერც კი ამოუხეთქია და მით უფრო გაუმაგრებია თვისი საძირკველი. წამოხვალთ ქვევით სათ თუ ზეგით ოფრეთს ერთი დაღმართი. [illegible]-მდებარეობის სიმშვენიერეს თუ ბუნებას საზოგადოო არა აქვს. ხედავთ რა ყველა ამას სურათი და თუ ჩაუფიქრდებით, რა მადლია ბუნებისა, წარმოიდგენთ რა, რომ ამ სიმშვენიერეს, ყველა ამ შენს მუშაკის სიმდიდრეს ვიღაც სხვა, უცხო, შენი სამარის მთხრელი დაეპატრონება. ძალაუნებურად უნდა ამოხეთქოს გულმა თავისი ამოძახებანი და ამ ტყეების სიღრმეში უნდა გაისმას ხმა, რომელსაც დაუდასტურებს თავის განუმეორებელი მთა-ველები: „სად ხარ ქართველო ერო, სად ხარ შენ დიდო ბატონიშვილო, ოდესღაც შენს ბრძანებლობაში იყო მთელი შენი ერი, შენ გეხმარებოდა მთა და ველი—დღეს კი შენი სასახლე უდაბურში, ეს შენი მიდამო და აქ შენი სახელოვანი მთავრები, შენის ძმის, შენის შვილთა სისხლით [illegible] დაუბერია. შენ გახვეულხარ, გიღალატა შენმავე წინდებმამ. შენის საყვარელი ერის სისხლით მორწყული მიწები, მთა ველი სხვათათვის, ვინც ჩვენს გაქრობას ლამობს მისთვის გადადებულა. მაგრამ დადგება დრო, ოდესაც შენი მამაცი, ხოლო მრავალ-წამებული ქართველი, ისევე დაუბრუნდება წარსულს, მოიკრებს ძალას და თვისის ძმის დახმარებით სისხლს, სადაც კი მას თვისი ლაქა დაუჩნდება სხვისგან შეურაცხყოფილი აიაზმას ასხურებს და კვლავ ქართველურის გულით და ფართე ლოდზე დაუდგება თვის ნაშთებს და თვის მიწა-წყალს რაინდი შემოევლება.

ვეფხვი.

წერილი რედ. მიმართ

თქვენ პატივცემულ გაზეთის წარსული თვის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა ექიმ მეფისტოფელიანზე. შენიშვნა იგი შედეგი იყო მხოლოდ პოდპოლკოვნიკ აბესაძისა და პრაპორშჩიკ ნაფეტვარიძისა. ამის გამო ჩვენ, მე-604 ტომილის ქვეითა დრუჟინის ჯარისკაცები, გთხოვთ მოგვეთავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში მთელი ჩვენი დრუჟინის მთავარ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, გიორგობისთვის 17 ს გამოტანილი შემდეგი დადგენილება:

№ 53, 1917 წ., გიორგობისთვის 22, დაბა მცხეთა.

ჯარისკაცთა თხოვნით: ა. პოლუმახოვი. მე-604 ტომილის ქვეითა დრუჟინის საორგანიზაციო კომიტეტის ოქმი.

1917 წ., გიორგ. 17. დაბა მცხეთა. თავმჯდომარე: პანინი, მდივანი: [illegible].

დღის წესრიგი:

1) დრუჟინის უფროსის პოდპოლკოვნიკ აბესაძის, მის ადიუტანტად ნამყოფ პრაპორშჩიკ ნაფეტვარიძისა და დრუჟინის უფროს ექიმის შორის აღმოცენებულ უთანხმოების გამო დრუჟინაში გაჩენილ უწესრიგობის შესახებ.

დადგენილება:

დღეს, როდესაც ყველა მამულის მოყვარულთა აზრი და გონი სამშობლოს დაცვისკენ მიპყრობილი, აი უკვე ორი თვეა, რაც ზემოთ აღნიშნულ პირთა შორის დამკვიდრებული უთანხმოება მთელ ჩვენს დრუჟინაში უკმაყოფილებას იწვევს; ჩვენ, დრუჟინის წარმომადგენლებმა, კარგად ვიცით უთანხმოების მიზეზი და გარემოებანი, დიდ ხანს [illegible] მით, მაგრამ დღეს ჩვენ აღარ შეგვიძლიან მოვითმინოთ, რომ ჩვენ თვალწინ აღარ განმეორდეს ის, რაც შედეგად მოჰყვა ზემო ნახსენებ პირთა შორის დამკვიდრებულ უთანხმოებას: მთელი დრუჟინის საყვარელი პრაპორშჩიკის [illegible] განდევნა.

ჩვენ კარგად ვიცნობთ პოდპოლკოვნიკ აბესაძეს, რომელიც, როგორც უფროსი, დრუჟინის პირველ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვისაც კი არა ზრუნავს; ვიცით აგრეთვე პოდპ. აბესაძისა და პრაპ. ნაფეტვარიძის მოქმედება ექიმ მეფისტოფელიანის წინააღმდეგ და ამიტომ ხმის უმეტესობით დავადგინეთ: 1) სრულიად შევუერთდეთ დრუჟინის კომიტეტის თავმჯდომარეს სინებკოს, რომელმაც კავკასიის ჯარის სამოქალაქო [illegible] გამომძიებელ კომისიის წევრს მოახსენა: დრუჟინა მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნენ პოდპ. აბესაძე და პრაპ. ნაფეტვარიძე, ხოლო ექიმ მეფისტოფელიანს ეთხოვოს; 2) მოეთხოვოს საზოგადოებრივ სათადარიგო ლაზარეთის მე-71 ბრიგადის უფროსისაგან, რომ აბესაძე და ნაფეტვარიძე გადაყენოს; 3) ეთხოვოს კავკასიის სამხედრო კომისარს დონსკოის ექიმი მეფისტოფელიანი დასტოვოს ჩვენს დრუჟინაში; 4) ეთხოვოს ექიმ მეფისტოფელიანს განაგრძოს ჩვენს დრუჟინაში სამსახურებრივი მოქმედება; 5) ამ ოქმის ასლი დაუყოვნებლივ გადაეცეს პირადად მე-71 ბრიგადის უფროსს, სამხედრო კომისარს დონსკოის, [illegible] ლაზარეთის სამოქალაქო სამმართველოს პანინისა და [illegible] ხელით.

თავმჯდომარის ამხანაგი პანინი.

წევრები: ხახანაშვილი, ცილამი, მაქარაშვილი, კახიძე და მდივანი [illegible].

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

კალენდარი

ოთხშაბათი,
გიორგობისთვის
29

მე-15 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართვ. წმ. მოწ. პარამონისა და ფილუმენისა; წმ. ღირს. მოწ. აბიბოს ნეკრესელისა, VI, ალავერდი, მცხეთ. დღეობა მონასტრის [illegible].

კათოლ. სატურნინისა.

მაჰმად. ზარ-შამბე 26 რ. საფარისა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომრევიყი 27 რ. ქისლევი 5678 წ. ქვეყნ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
[illegible]
(დრო ნაჩვენებია [illegible])

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ. № 5,	11,32	დილ.
„	სამგზ. № 9,	11.28	დილ.
ხაშურ-ბორჯომის.	№ 19,	3.17	დღ.
„ „	№ 17,	8.19	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ. № 6,	9.51	დილ.
„	საფ. № 4,	8.46	საღ.
[illegible]	სამგზ. № 4-8,	12.15	საღ.
„	№ 61.	8,18	დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„	№ 63.	4, 48	ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ. № 10,	8.38	დილ.
„	საფ. № 6,	7,41	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ. № 20,	7.57	დილ.
„	სამგზ. № 18,	9.50	საღ.
ბაქოდან	საფ. № 8,	10 26	დილ.
„	ჩქარ. № 5,	10 20	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ. № 3***,	7. 58	დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:
სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:
[illegible] 6.24 წუთ.

საქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1916 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში

XVI. საგანგებო თანხები.

1916 წლის იანვრის 1-ლს იყო მრავალწლიურისა, აკაკისა და კირიონისა	22102.14	
წლის განმავლობაში მიემატა: აღ. ყიფშიძის სახელობისა	240.00	
აკაკის თანხას სადამოს შემოსავალი და შემოწირულება	1148.09	
სარგებელი	964.69	24454.92
დაიხარჯა აკაკის თანხიდან	1820.03	
გადაიტანეს საერთო შემოსავალში აკაკის თანხის სარგებელი	521.00	2341.03
1917 წლის იანვრის 1-ლისათვის დარჩა		22113.89

XVII. შემოსავალი.

1916 წლის განმავლობაში იყო		12636.98

გასავალი.

1916 წლის განმავლობაში დაიხარჯა	8944.73	
მიეცათ შემოსავლის 5% ძირითად თანხას	631.84	
„ ზედმეტი შემოსავლისა სახარჯო თანხას	3060.41	12636.98

ბალანსი 1917 წლის იანვრის 1-ლისათვის.

აქტივი.

1 კასა	44.83	
2 სახელმწიფო ბანკში	5301.85	
3 ბანკში ფული	7460.00	
4 %-იანი ქაღალდები	40074.99	
5 %% ქაღალდებისა	1154.36	
6 წიგნები	6387.51	
7 წიგნების ბეჭდვა	594.18	
8 ინვენტარი	2723.43	
9 უძრავი ქონება	24000.00	
10 გარდამავალი ფული დებეტით	776.20	
11 ავანსები	740.63	89257.98

პასივი.

1 კრედიტორები	407.69	
2 გარდამავალი ფული კრედიტით	460.00	
3 სახარჯო თანხა	39806.56	
4 ძირითადი თანხა	26469.84	
5 საგანგებო თანხები	22113.89	89257.98

1917 წლის შემოსავლისა და გასავლის სავარაუდო ანგარიში.

შემოსავალი.

თანხების სარგებელი	1758.75	
შემოწირულება	3500.00	
გამოცემის შემოსავალი	1000.00	
თავად-აზნაურობის შემწეობა	7000.00	
საწევრო	500.00	
წიგნების	200.00	13958.75

გასავალი.

საკანცელარიო ხარჯი	200.00	
[illegible]	200.00	
[illegible]	1000.00	
წიგნთსაცავ-მუზეუმისა	4000.00	
ფირფიტების და ფოტოგრაფიისა	2000.00	
წიგნების ბეჭდვა	1000.00	
ინვენტარის შეძენა	1000.00	
მომავლის ბილეთების დაზღვევა და მათი და სხვა %-იან ქაღალდების შენახვა	400.00	
მდივანის ჯამაგირი	300.00	
მუზეუმის გამგეს	600.00	
საქმის მწარმოებლის და მუზეუმის მცველის თანაშემწეს ჯამაგირი	1800.00	
მცველების შემწეობა	600.00	
მოლარის ჯამაგირი	200.00	
მოსამსახურეს „	330.00	
მოულოდნელი ხარჯი	328.75	13958.75